


*ფრინველის გაყინულ, მექანიკურად განცალკევებულ
ხორცში salmonella-ს რისკის შეფასება*

რისკის შეფასების სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭო
რისკის შეფასების სამსახური



სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
2016 მაისი

წინასიტყვაობა

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა სურსათის ეროვნული სააგენტოს N 09/1330 30/10/2015 წერილის საფუძველზე, განახორციელა - საქართველოში იმპორტირებული ქათმის გაყინული მექანიკურად განცალკევებული ხორცის (MDM-MSM) სალმონელათი დაბინძურებასთან დაკავშირებული საფრთხეების ანალიზი და რისკის შემცირების (მინიმიზაციის) მიზნით, რეკომენდაციების შემუშავება. სტრატეგიული მიდგომების სრულყოფისთვის განხორციელდა დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო კომუნიკაცია.

რისკის შეფასების სტრუქტურებისთვის სეს-ს მიერ მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2015 წლის პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა ქვეყნიდან იმპორტირებული ქათმის გაყინული მექანიკურად განცალკევებული ხორცის (MDM-MSM) 16 ნიმუშში განხორციელებული, პათოგენური მიკროორგანიზმის - სალმონელას ლაბორატორიული კვლევის შედეგებით, გამოვლენილ იქნა შემდეგი დარღვევები:

- თურქეთი - 12 დარღვევა (აღებული იყო 15 ნიმუში)
- ჰოლანდია - 2 დარღვევა (აღებული იყო 3 ნიმუში)
- გერმანია - 1 დარღვევა (აღებული იყო 4 ნიმუში)
- საფრანგეთი - 1 დარღვევა (აღებული იყო 4 ნიმუში)

დაბინძურებული სურსათის პარტიებად იდენტიფიცირებისა და სააგენტოს უფლებამოსილი პირების ზედამხედველობით, სურსათის ბიზნესოპერატორების მხრიდან შესაბამისი აკრედიტაციის მქონე სხვადასხვა ლაბორატორიებში მიმართვის საფუძველზე, ლაბორატორიული კვლევის შედეგებით **80** ნიმუშიდან დარღვევა გამოვლინდა **36** ნიმუშში.

რისკის შეფასების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოსა და რისკის შეფასების სამსახურის მიერ, არსებული საფრთხეების გაანალიზების, პრობლემის პრიორიტეტულობის დადგენის და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, შესაბამისი სტრუქტურებიდან: სურსათის ეროვნული სააგენტოდან (წერილი 09/1754 18/11/2015), შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტიდან (წერილი N21-10/128052 09/12/2015) და აკრედიტებული ლაბორატორიებიდან გამოთხოვილ იქნა დამატებითი ინფორმაცია, რომლის გაანალიზების საფუძველზე მომზადდა სამეცნიერო დასკვნა და შესაბამისი რეკომენდაციები.

წარმოდგენილი მასალის დამუშავებისას გამოყენებული იქნა აღწერილობითი და შედარებითი მეთოდოლოგია. მოძიებული ინფორმაციის და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა შესასწავლი პრობლემის ერთიანი სურათი, რაც საკმარისია იმ ლოგიკური ჯაჭვის შექმნის უზრუნველსაყოფად, რომელზე დაყრდნობითაც გარკვეული რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით (პროდუქციის

კონტამინაციის მაღალი დონე, პროდუქციის სავარაუდო ეგზოგენური დაბინძურება, ადამიანისათვის პათოგენური სეროტიპების იდენტიფიცირება, ბიზნესოპერატორთა მიერ რისკ-ფაქტორების მართვის არასათანადო დონე, HACCP-ის პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის ვალდებულების არქონა, ევროკავშირისა და საქართველოს კანონმდებლობით დღეისათვის დადგენილი მიკრობიოლოგიური კრიტერიუმების შეუთავსებადობა, როგორც პროდუქციის დადგენილი ლიმიტების, ასევე ნიმუშის აღების გეგმების მხრივ). ყოველივე ზემოთხსენებულის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა მეცნიერული დასკვნა და შემუშავდა რისკის მართვისთვის აუცილებელი ალტერნატიული ღონისძიებების თაობაზე რეკომენდაციები.

1. საფრთხის იდენტიფიცირება

მიკროორგანიზმები გავრცელებულია ყველგან (საკვებში, ჰაერში, წყალში, ადამიანის ორგანიზმში და ა.შ.). მიკროორგანიზმების სხვადასხვა გვარი, სახეობა - გამრავლებისათვის სხვადასხვა წყაროს იყენებს. მათ ახასიათებთ მაღალი მეტაბოლიზმი, სწრაფი და ინტენსიური გამრავლების უნარი, არსებულ პირობებთან შეგუების მაღალი უნარი, ზოგიერთი იწვევს სხვადასხვა დაავადებას.

სურსათში შეიძლება სხვადასხვა სახეობის მიკროორგანიზმი არსებობდეს. ცხოველური წარმოშობის პროდუქტების შემთხვევაში განარჩევენ პირველად (სიცოცხლეში), ცხოველის/ფრინველის საკუთარი მიკროფლორით დაბინძურებას და მეორად დაბინძურებას, რომელიც ან მათი დაკვლის, ან პროდუქტების გადამუშავებისა და შენახვის, ან სხვა ეტაპზე ხდება.

ფრინველის ორგანოების და ქსოვილების სიცოცხლეში მოთესვიანობა საკუთარი მიკროფლორით და პათოგენური მიკროორგანიზმებით მათი დაავადების, ტრამვის ან არახელსაყრელ პირობებში შენახვის დროს ხდება, რაც ორგანიზმის დამცველი ბარიერების დარღვევას და მიკროორგანიზმების ჩვეულებრივ სტერილურ ქსოვილებსა და ორგანიზმებში ტრანსლოკაციას (გადატანას) განაპირობებს. ასეთ შემთხვევაში დაკლული ფრინველის ხორცის ნაჭრებში სალმონელები, სტაფილოკოკები, ენტეროკოკები, ნაწლავის ჩხირი, პროტეუსები, კლოსტრიდიები, და ა. შ. გამოვლინდებიან.

ფრინველის ხორცისა და მისგან დამზადებული პროდუქტების მეორადი მოთესვიანობის დროს დაბინძურების წყარო გარემოს (ნიადაგის, წყლის, ტრანსპორტის და ა.შ.) ობიექტები, აგრეთვე დაავადებული ან ბაქტერიამტარებელი ადამიანები არიან. ფრინველის ხორცის და ხორცის პროდუქტების დაბალ ტემპერატურაზე და გაყინვის პირობებში შენახვის დროს შესაძლებელია იმ მიკროორგანიზმების არსებობა რომლებსაც ფსიქროფილურ პირობებში გამრავლება შეუძლიათ (პროტეუსები,

ასპერგილუსი და სხვ.), ისინი იწვევენ ხორცზე ლორწოს წარმოქმნას (პროტეუსები), მათში დუდილის და ლპობის პროცესების (კლოსტრიდიები, პროტეუსები, ფსევდომონადები, და სოკოები) განვითარებას.

მიკროორგანიზმებით დაბინძურებულმა კვების პროდუქტებმა შეიძლება სხვადასხვანაირი ტოქსიკოინფექციების და ინტოქსიკაციების, აგრეთვე ინფექციური დაავადებების განვითარება განაპირობონ. ხორცისა და ხორცის ფარშისაგან დამზადებული კერძები მათში სალმონელების, შიგელების, ენტეროპათოგენური ნაწლავის ჩხირის, პროტეუსების, სტაფილოკოკის ენტეროტოქსიგენური შტამების, *Clostridium perfringens*-ის და *Bacillus cereus*-ის გამრავლების გამო შეიძლება სხვადასხვა დაავადების მიზეზი გახდნენ.

კვებით წარმოებასთან მიმართებაში, განიხილავენ მიკროორგანიზმების მხრიდან არა მხოლოდ მავნეობის განმაპირობებელ, არამედ იმ სპეციფიკურ თვისებებსაც, რომელიც ეხება სასურსათო ინდუსტრიაში მათ გამოყენებას (მაგ. ყველის ფერმენტაცია, დაღვინება, ლუდის წარმოება და ა.შ.) თუმცა ეს არ ვრცელდება პათოგენურ მიკროორგანიზმებზე და მათ შორის სალმონელებზე.

სალმონელა წარმოადგენს გრამუარყოფით ფაკულტატურ ანაერობს, არ ივითარებს სპორებსა და კაფსულას, არ ახასიათებს ტროფულობა რომელიმე გარკვეული ორგანოს ან ქსოვილის მიმართ.

სალმონელები, ისევე როგორც ტუბერკულოზის, ბრუცელოზის, ტულარემიის, მენიგოკოკური ინფექციის, გონორეის გამომწვევები, შიგელები და სხვა მიკრობები წარმოადგენენ ფაკულტატურ უჯრედშიგნითა პარაზიტებს და შეუძლიათ არსებობა როგორც უჯრედის შიგნით, ისე მის გარეთ, თუმცა მიუხედავად ამისა, რომ შეუძლიათ არაუჯრედულადაც გამრავლდნენ, მაკინძლის ორგანიზმში მაინც უჯრედშიგნითა გამრავლების უნარს უფრო ავლენენ, რადგან ორგანიზმის პირობებში უჯრედშიგნითა გარემო ინფექციური პროცესის განვითარების ძირითადი ადგილია. უჯრედის შიგნით პარაზიტების ასეთ უნარს შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს ინფექციური პროცესის ქრონიზაციაში, რადგან აიოლებს მიკრობების გადარჩენას და მაკროორგანიზმში შენახვას.

სალმონელები ხელოვნურ საკვებ ნიადაგებზე კულტივირდებიან. ბაქტერია გამძლეა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (კვირეები ან თვეები) და ინარჩუნებს არა მარტო სიცოცხლის უნარიანობას გარემო პირობებში, კვების პროდუქტებში, ბოსტნეულზე, ხორცსა და კვერცხზე, არამედ ასევე აქვს უნარი გამრავლდეს მათში და განახორციელოს ტოქსიური ნივთიერებების დაგროვება, მათ შორის ენდოტოქსინისაც.

სალმონელებს აქვთ რთული ანტიგენური შენება, თუმცა სეროლოგიური დიაგნოსტიკისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ სამი ძირითადი ანტიგენი O, H და Vi. – ეს პრინციპი უდევს საფუძვლად კაუფმან–ვაიტის კლასიფიკაციას, რომლის

თანახმადაც დღესდღეისობით ითვლიან 2324 სეროტიპს და რომელთა რიცხვიც ყოველდღიურად იზრდება.

Salmonella მოიცავს ორ სახეობას Salmonella bongori და Salmonella enterica. ამასთან, S. enterica დაყოფილია შვიდ ჯგუფად ან ქვესახეობად, enterica (I), salamae (II), arizonae (III A), diarizonae (III B), indica (VI) და ორფაზიან ჯგუფებს IV და VII (Boyd et al., 1996)¹.

Salmonella enterica enterica მოიცავს შემდეგ სეროჯგუფებს:

- A (ყველაზე მეტად ცნობილი სეროტიპია *paratyphi A*)
- B (სეროტიპები: *typhimurium, agona, derby, heidelberg, paratyphi B* და სხვა)
- C (სეროტიპები: *bareilly, choleraesuis, infantis, virchow* და სხვა)
- D (სეროტიპები: *dublin, enteritidis, typhi* და სხვა)
- E (ყველაზე მეტად ცნობილი სეროტიპია *anatum*)

სალმონელას ენტეროტოქსინი ლიპოპოლისაქარიდული ბუნებისაა და სალმონელის პათოგენობის ძირითად ფაქტორად გვევლინება. სალმონელას ენტეროტოქსინებს გააჩნიათ 3 ძირითადი ანტიგენი: O-სომატური, H- შოლტისებური (თერმოსტაბილური) და K- ზედაპირული (კაპსულური).

სალმონელას მდგრადობა და გამრავლების პირობები

სალმონელა მდგრადია გარკვეული გარემო პირობების მიმართ. გაყინვის რეჟიმში სალმონელაზე დამლუპველად არ მოქმედებს. სალმონელა მდგრადია გამომშრობისადმი, მას შეუძლია საკვები არის გარეშე გაძლოს რამდენიმე თვე. ეს მიკროორგანიზმი მდგრადია ზოგიერთი ფიზიოლოგიური ხსნარის ზემოქმედების მიმართ, მაგალითად ნატრიუმისა და კალიუმის ჰიდროქსიდის მიმართ, ასევე წყალბადის ზეჟანგის ზემოქმედების მიმართ. სალმონელაზე დამლუპველად არ მოქმედებს მარილის ან ზოგიერთი მჟავის მაღალი კონცენტრაციები, შებოლვა.

დღესდღეობით სალმონელათა უმეტესობა მდგრადია ანტიბაქტერიული პრეპარატის მიმართ, თუმცა მაღალმგრძობიარეა სადეზინფექციო ხსნარების მიმართ (0,3% -იანი ქლორიანი კირის ხსნარი მიკრობს ანადგურებს ერთ საათში).

სალმონელას ზრდისთვის ოპტიმალური ტემპერატურაა - 37°C, ხოლო pH - 7.2-7.4. 55 °C-ზე სალმონელა იღუპება ნახევარ საათში, 60 °C ტემპერატურაზე -12 წუთში და 75 °C ტემპერატურაზე - დაახლოებით 10 წუთში.

წყალში სალმონელა ძლებს 120 დღე, ხორცსა და ძეხვეულში 2-დან 4 თვემდე, გაყინულ ხორცში 1 წლამდე, რძეში - 10 დღე (სამაცივრო პირობებში -20 დღე), კარაქში - 4 თვემდე, ყველში -1 წლამდე, კვერცხის ფხვნილში - 3-დან 9 თვემდე, ნიადაგში -18 თვე.

¹ Assessment of the risk from Salmonella occurring in feedingstuffs and the feed production process.

დუდილისას, სალმონელა მაგ. ძეხვის სისქეში გამძლია 15-20 წუთის განმავლობაში და 60-70°C ტემპერატურაზე ილუპება 1 საათამდე ხანგრძლივობისას, ხოლო 500 გ-იანი ხორცის ნაჭრის თერმული დამუშავებისას (მოხარშვა) - ილუპება მხოლოდ 2-3 საათის შემდეგ². სურსათში, ოთახის ტემპერატურაზე სალმონელა სწრაფად მრავლდება, ამასთან პროდუქტის გარეგნული სახე არ იცვლება.

2. საფრთხის ზემოქმედების (ექსპოზიციის) შეფასება

სალმონელა არის საშიში პათოგენი, რომელიც იწვევს დაავადებას, სახელწოდებით - სალმონელოზი. სალმონელა უპირატესად აზიანებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს.

სალმონელოზის ჩვეული სიმპტომებია: ცხელება, დიარეა და აბდომინალური ტკივილი. ეს სიმპტომები ვლინდება დაინფიცირებიდან 12-72 საათში. **S. enteritidis** და **S. typhimurium** წარმოადგენენ იმ სეროვარებს, რომელთაც ყველაზე უფრო ხშირად უკავშირდება ადამიანის დაავადებები.

სალმონელამ შესაძლოა გამოიწვიოს მენინგიტი. სალმონელოზური მენინგიტი შესაძლოა განაპირობებულ იყოს სალმონელას სხვადასხვა სეროტიპით, თუმცა ყველაზე ხშირად მას განაპირობებს: **S. typhimurium**, **S. enteritidis**, **S. heidelberg**, **S. newport**.

სალმონელოზით შესაძლოა დაავადდეს ყველა ასაკის ადამიანი, თუმცა დაავადების შემთხვევები უფრო ხშირად ვლინდება 1-2 წლის ასაკის ბავშვებში და ხანდაზმულებსა და მოხუცებში. ეს უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ამ ასაკში კუჭის წვენის მჟავიანობა დაბალია, განსხვავებით სხვა ასაკობრივ ჯგუფებში შემავალი პირებისგან და განსაკუთრებით ზრდასრული ადამიანებისგან, რომელთა კუჭის წვენის მჟავიანობა უფრო მაღალია და ეს ნაწილობრივ დამლუპველად მოქმედებს სალმონელებზე. სალმონელოზური მენინგიტი ძირითადად აღინიშნება ჩვილი ასაკის ბავშვებში.

დაავადების განვითარება ზოგადად დამოკიდებულია ასაკზე და ორგანიზმის დამცველობითი ძალების მექანიზმებზე, მაინფიცირებელი აგენტის დოზაზე, გამდიზიანებლის პათოგენობის ხარისხზე.

არასახარბიელო რისკ-ფაქტორების არსებობის დროს ზიანდება ადამიანის ორგანიზმის კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლორწოვანის ეპითელიუმი, რადგან სალმონელა იჭრება ლორწოვანი გარსის საკუთრივ შრეში ეპითელიოციტების შიგნით მაკროფაგებში და რჩება იქ. როდესაც ორგანიზმს არ შესწევს პათოლოგიური პროცესის ლოკალიზების უნარი ნაწლავებში (ადგილობრივი ანთებითი პროცესის ლოკალიზება), ხდება ნაწლავური და ლიმფოციტარული ბარიერის გარღვევა ბაქტერიემიის განვითარებით (სალმონელოზის სეპტიური ფორმა). სალმონელები, მათი ენდოტოქსინები და პათოგენეზის ენდოგენურად გამომუშავებული ფაქტორები (ჰისტამინის,

²<http://5gdp.by/poleznye-stati/232-profilaktika-salmonelleza>

კალიკრენის, პროტეოლიზური ფერმენტების და სხვათა კონცენტრაციის მომატება) იწვევენ მიკროცირკულაციის, ჰემოდინამიკის დარღვევებს, მეტაბოლურ პრობლემებს და ისეთი შინაგანი ორგანოების დაზიანებებს, როგორცაა: ფილტვები, ენდოკარდიუმი, ღვიძლი, თირკმელები, ასევე თავის ტვინის გარსები და ნივთიერება³.

შესაძლებელია ადამიანი იყოს სალმონელის მტარებელი ყოველგვარი სიმპტომების გარეშე. სალმონელების ფართე გავრცელება შესაძლოა განპირობებული იყოს როგორც დაავადებული, ასევე ბაქტერიამტარებელი ადამიანიდან და ცხოველებიდან ნახმარ წყლებში მათი მოხვედრით.

2.1. დაავადების განვითარების ძირითადი რისკ-ფაქტორი

ადამიანებში სალმონელოზით ინფიცირების რისკი ძირითადად უკავშირდება დაბინძურებულ/კონტამინირებულ საკვებს; ინფექციის შეჭრის ძირითადი ჭიშკარია კუჭ-ნაწლავის ტრაქტი. ისევე როგორც ყველა სხვა ინფექციის დროს, რომლის გადაცემის გზაც ფეკალურ-ორალურია. უფრო ხშირად ინფექციის შეჭრა განპირობებულია - კვერცხის, ღორის ხორცის, ფრინველის ხორცის მოხმარებით. სალმონელა ნაპოვნია ჯანმრთელი ფრინველებისა და ძუძუმწოვრების ნაწლავებში. შესაბამისად, ფრინველის ხორცი და მისი გადამუშავების პროდუქტები არის ერთ-ერთი წყარო სალმონელოზით ადამიანების დაავადებისა. 2015 წლის 2 დეკემბერს EFSA-ს მიერ გამოყვეყნებული სამეცნიერო დასკვნის თანახმად, ევროკავშირის ქვეყნებში 2014 წელს სალმონელათი დაბინძურებულ ძირითად პროდუქციად სახელდება ქათმის ხორცი⁴.

2.2 ფრინველის ხორცის/კვერცხის და მისი გადამუშავების პროდუქტების დაბინძურების გზები და პირობები

ხორცი შესაძლოა დაბინძურდეს ორი გზით:

- ენდოგენური (დაკვლამდე);
- ეგზოგენური (დაკვლის შემდეგ).

ენდოგენური გზა რეალიზდება სალმონელათი დაინფიცირებული ფრინველიდან ხორცის მიღების შემდეგ და ხასიათდება მაღალი მოთესვიანობით.

ინფექციის გამომწვევი სალმონელა - შესაძლოა ჩვეულებრივ იყოს ფრინველის ან ცხოველების ნაწლავში: მაგ. ძროხის, ღორის, ცხვრის, თხის, ძაღლის, კატის, მღრღნელების და ა.შ. რომელთა შორის ბაქტერიამტარებლობა 5-50 % ფარგლებში მერყეობს. ყველაზე ხშირია მტარებლობის შემთხვევები, ფრინველებში (50%). სალმონელას მიმართ განსაკუთრებული ამთვისებლობით გამოირჩევა ფრინველის 1-12 დღის მოზარდი. დაავადების გადაცემის ფაქტორებია დაავადებული ან მტარებელი

³ <http://www.eurolab.ua/diseases/186/>

⁴ http://www.efsa.europa.eu/sites/default/files/scientific_output/files/main_documents/4329.pdf

ცოცხალი ცხოველები და ფრინველები, დაინფიცირებული საკვები, წყალი და ინვენტარი.

ინფექციის კარიბჭედ გვევლინება წვრილი ნაწლავი, სადაც ხდება აღმძვრელის კოლონიზაცია და მისი შემდგომი ჩანაცვლება ორგანიზმში. მეცნიერთა მიერ დღესაც არ არის დადგენილი თუ რატომ ხდება სალომონელოზური ინფექციების დროს მოცემული უბნის მხოლოდ კოლონიზაცია და შემდგომში მისი ინვაზია, რაც შემდგომ ხელს უწყობს გასტროენტეროლოგიურ დაავადებებს. ამასთან ერთად უმნიშვნელო პროცენტით დაავადების კერაში შეიძლება წარმოიშვას პროლიფერაციული ან ლპობითი უბნები რაც დამახასიათებელია სალომონელოზების ტიფოიდური და სეპტიკური ფორმებისათვის. ინფექციური პროცესის განვითარებისას სალომონელების ფიქსაცია მაკროფაგებით ვერ იძლევა ფაგოციტოზს, ვინაიდან მათ შესწევთ უნარი დარჩნენ და შემდგომში განიცადონ აქტიური რეპროდუქცია მაკროფაგში, გადალახონ ნაწლავის კედლის ეპითელიუმი და ამ გზით მოხვდნენ ლიმფურ ჯირკვლებსა და სისხლში⁵.

ეგზოგენურად - ხორცი ბინძურდება ტან-ხორცის დამუშავების დროს, განსაკუთრებით კი - დაბინძურებული ინვენტარის გამოყენების შემთხვევაში, ასევე ტრანსპორტირებისას, შენახვისა და რეალიზაციისას. თუმცა ეგზოგენური გზით ხორცის დაბინძურების პირობებში მოთესვიანობის ხარისხი უფრო დაბალია, ვიდრე ენდოგენური დაბინძურებისას.

რეალურად, ეგზოგენური გზა გვხვდება გაცილებით იშვიათად, მაგრამ მას გააჩნია უდიდესი ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობა.

კვერცხი სალომონელათი ბინძურდება ეგზოგენურად - სალომონელა აღწევს კვერცხის ნაჭუჭში თუ იგი დაბინძურდა ფრინველის სკორეთი და ასევე ენდოგენურად - თუ ფრინველი დაავადებულია.

უკანასკნელ წლებში ფრინველის ხორცის, კვერცხის მოხმარება მსოფლიოში დღითიდღე იზრდება (პირველ რიგში ეს ეხება ქათმის ხორცს), შესაბამისად იზრდება მათ მიმართ, როგორც სალომონელების გავრცელების წყაროების მიმართ, რისკის შემფასებელი ორგანიზაციების მხრიდან ყურადღების კონცენტრირება.

ხორცის პროდუქტების არასწორი შენახვის პირობებში (მაცივრის გარეთ, სხვა მალფუჭებადი პროდუქციისგან განუცალკევებლად) სალომონელების გამრავლებისთვის კარგი პირობები შეიძლება შეიქმნას, ამასთანავე გამოიყოს მიკრობული შხამი - ტოქსინი.

სალომონელოზები ასევე დიდ ეკონომიკურ ზარალს აყენებს მეფრინველეობას, ამ დროს ეკონომიკური ზარალი განისაზღვრება პირდაპირი (სიკვდილიანობა, გამოწუნება,

⁵მაია კერესელიძე „პასტერელოზის და სალომონელოზების აღმძვრელების სამკუნალწამლო და სადეზინფექციო პრეპარატების მიმართ რეზისტენტობის შესწავლა და ახალი ბიოლოგიური პრეპარატების ეფექტურობა აღნიშნული ინფექციების საწინააღმდეგოდ“.

იძულებით დაკვლა, ცოცხალი მასის და კვერცხმდებლობის დაქვეითება) და არაპირდაპირი (წამლეული ნივთიერებების და ორგანიზაციულ-სამეურნეო-სანიტარული ღონისძიების ჩატარების ღირებულება) დანახარჯებით. სალმონელოზის დროს კვერცხმდებლობა მცირდება 18-23%-ით. ამასთანავე არაკეთილსაიმედო ფერმებში წიწილების 3,5-11% ავადმყოფია. სალმონელოზის ენზოოტიის შემთხვევაში წიწილების სიკვდილიანობა 40%-ს აღწევს.

3. მექანიკურად განცალკევებული ფრინველის ხორცის უვნებლობისა და მიკრობიოლოგიური კრიტერიუმების შესახებ კანონმდებლობა სალმონელასთან მიმართებაში.

სალმონელა წარმოადგენს საკმაოდ გამძლე მიკრობს, შესაბამისად განმეორებითი დაბინძურების პრევენციისთვის აუცილებელია მაღალუქებადი პროდუქციის სწრაფი კონტროლი მწარმოებლების მხრიდან. ეროვნულ კანონმდებლობის თანახმად ბიზნესოპერატორი ვალდებულია, თვითონ განახორციელოს კონტროლი, ჩაატაროს კვლევები, გააანალიზოს გამოკვლევის შედეგები და შეუსაბამობის ტენდენციის აღმოჩენის შემთხვევაში, მიკრობიოლოგიური რისკების თავიდან აცილებისათვის დაუყოვნებლივ გაატაროს საჭირო ღონისძიებები.

ევროკავშირის ქვეყნებში სალმონელათი პროდუქციის კონტამინაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები, მათ შორის ეტიკეტების გარკვეული სპეციალური წესებიც წარმოდგენილია COMMISSION REGULATION(EC) No2073/2005 „on microbiological criteria for foodstuffs“, რომელზე დაყრდნობითაც 2015 წელს შემუშავდა და დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის დადგენილება N581 „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“. დადგენილებაში სრულად აისახა ის მიკრობიოლოგიური კრიტერიუმები, რომელთა გათვალისწინება შექმნის სათანადო პირობებს სალმონელასთან დაკავშირებული რისკების მართვისათვის. ეს მოთხოვნები საკმაოდ მნიშვნელოვანია და ისინი წარმოდგენილ დასკვნაში ასახულ იქნა უცვლელად:

„იმ შემთხვევაში, თუ გატარებული ხორცი, ხორცის ნახევარფაბრიკატები და ხორცის პროდუქტები, გარდა ფრინველის ხორცისა, რომელთა გამოყენება დასაშვებია მხოლოდ თერმული (თბური) დამუშავების შემდეგ, შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტის დანართით განსაზღვრულ სალმონელასთან დაკავშირებულ მიკრობიოლოგიურ მაჩვენებელს, ბიზნესოპერატორი ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ეტიკეტზე განათავსოს და მომხმარებელს მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია, რომ სურსათის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ თერმული (თბური) დამუშავების შემდეგ.“⁶.

ასევე „მექანიკურად განცალკევებული ხორცის პარტია, რომელშიც სალმონელას შემცველობა არ შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართით განსაზღვრულ

⁶მუხლი 6. მოთხოვნები ეტიკეტისადმი

მიკრობიოლოგიურ მაჩვენებელს, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს მხოლოდ თერმული (თბური) დამუშავებით მიღებული ხორცის პროდუქტების წარმოებისათვის, იმ ბიზნესოპერატორის მიერ, რომელიც აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.⁷“

აღნიშნული დადგენილებით ასევე განისაზღვრა ფრინველის სასაკლაოსა და საწარმოში, სადაც ხდება ახალი ხორცის წარმოება - ნიმუშის აღების მოთხოვნები, სალმონელაზე გამოკვლევის უზრუნველსაყოფად:

„ა) სასაკლაოზე Salmonella-ს გამოკვლევისათვის ნიმუშის აღება უნდა განხორციელდეს მთლიანი, გამოშიგნული ფრინველის კისრიდან კანით. თუ დაკლული ფრინველის ახალი ხორცის გადამუშავება, დანაწილება, დანაწევრება, ნაჭრებად დაჭრა, ძვლის გამოცლა ხდება საწარმოში, რომელიც არ მდებარეობს სასაკლაოზე, ნიმუშის აღება Salmonella-ს გამოკვლევისათვის, შეძლებისდაგვარად, უნდა განხორციელდეს უპირატესად მთლიანი ტანხორცის კისრის მიდამოდ ან კანით, ან ტანხორციდან კანით, ან ტანხორცის ნაწილიდან კანით. კანგაცლილი ან ნაწილობრივკან გაცლილი ფრინველის ტანხორციდან ნიმუშის აღება ხდება რისკის საფუძველზე;

ბ) სასაკლაოზე, ნიმუშის აღების გეგმაში, ბიზნესოპერატორის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს, ჩატარებულია თუ არა სალმონელასთან დაკავშირებული გამოკვლევები ფრინველის გუნდში, ან მიღებულია თუ არა დადებითი შედეგი ფრინველის გუნდის Salmonella enteritidis-ისა და Salmonella typhimurium-ის გამოკვლევისას“.⁸

ცხრილი 1. ხორცი (მ.შ. ფრინველის) და მისი გადამუშავების პროდუქტებში სალმონელასთვის დადგენილი კრიტერიუმები მთავრობის დადგენილება №581

№	სურსათის სახეობა	მიკროორგანიზმი მათი ტოქსინები და მეტაბოლიტები	ნიმუშის აღების გეგმა (1)		დასაშვები ზღვარი(2)		ანალიზის ეტალონური მეთოდი (3)	ეტაპი, რომელზედაც ხდება მაჩვენებლის განსაზღვრა
			n	c	m- მინიმალური მნიშვნელობა	M-მაქსიმალური მნიშვნელობა		
1.4	გატარებული ხორცი და ხორცის ნახევარფაბრიკატები, უმად გამოყენებისათვის	Salmonella	5	0	არ დაიშვება 25 გ-ში	EN/ISO 6579	ბაზარზე განთავსებული სურსათი, ვარგისიანობის ვადის გასვლამდე	

⁷მუხლი 7. არადამაკმაყოფილებელი შედეგი

⁸მუხლი 8. ნიმუშის აღებისა და მომზადების წესი

1.5	ფრინველის ხორცი გატარებული და ფრინველის ხორცის ნახევარფაბრიკატი, რომელიც გამოიყენება თერმული (თბური) დამუშავების შემდეგ	<i>Salmonella</i>	5	0	არ დაიშვება 25 გ-ში	EN/ISO 6579	ბაზარზე განთავსებული სურსათი, ვარგისიანობის ვადის გასვლამდე
1.7	მექანიკურად განცალკევებული ხორცი (MSM) (9)	<i>Salmonella</i>	5	0	არ დაიშვება 10 გ-ში	EN/ISO 6579	ბაზარზე განთავსებული სურსათი, ვარგისიანობის ვადის გასვლამდე
1.8	ხორცის პროდუქტები, უმი სახით გამოყენებისათვის, გარდა იმ პროდუქტისა რომელშიც <i>Salmonella</i> -თან დაკავშირებული რისკი აღმოფხვრილია წარმოების პროცესის ან სურსათის შემადგენლობის გამო	<i>Salmonella</i>	5	0	არ დაიშვება 25 გ-ში	EN/ISO 6579	ბაზარზე განთავსებული სურსათი, ვარგისიანობის ვადის გასვლამდე
1.9	ფრინველის ხორცის პროდუქტი, რომელიც გამოიყენება თერმული (თბური) დამუშავების შემდეგ	<i>Salmonella</i>	5	0	არ დაიშვება 25 გ-ში	EN/ISO 6579	ბაზარზე განთავსებული სურსათი, ვარგისიანობის ვადის გასვლამდე
1.2 8	ფრინველის ხორცი ახალი (20)	<i>Salmonella typhimurium</i> (21) (21) <i>Salmonella enteritidis</i>	5	0	არ დაიშვება 25 გ-ში	EN/ISO 6579 დეტექციისა და სეროტიპირებისათვის	ბაზარზე განთავსებული სურსათი, ვარგისიანობის ვადის გასვლამდე
<p>(9) ეს მაჩვენებელი გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული „მექანიკურად დამუშავებული ხორცისათვის“.</p> <p>(20) ეს მაჩვენებელი განსაზღვრული უნდა იქნეს შინაური ქათმის (<i>Gallus gallus</i>), კვრცხისმდეგელი ქათმის, ბროილერის, ინდაურის სანამუნე და გასასუქებელი გუნდის ახალ ხორცში.</p> <p>(21) მოიცავს მხოლოდ მონოფაზური <i>Salmonella typhimurium</i>-ის გამოკვლევას, ანტიგენური ფორმულით - 1,4, [5],12 : i, 1, 2.</p>							

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად:

ი) **მექანიკურად განცალკევებული ხორცი**–ხორცი, რომელიც მექანიკური საშუალებების გამოყენებით, განცალკევებულია ძვლისაგან, რაც იწვევს კუნთების ბოჭკოვანი სტრუქტურის დარღვევას ან შეცვლას⁹;

3. მექანიკურად განცალკევებული ხორცის წარმოებასა და გამოყენებაზე, როდესაც მის საწარმოებლად გამოიყენება ისეთი ტექნიკა (მეთოდი), რომელიც არ ცვლის მექანიკურად განცალკევებული ხორცის საწარმოებლად გამოყენებული ძვლების სტრუქტურას და რომლის კალციუმის შემცველობა მნიშვნელოვნად არ აღემატება გატარებული ხორცის კალციუმის შემცველობას (მექანიკურად განცალკევებულ 100 გ

⁹ „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის №90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ახალ ხორცში კალციუმის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 0,1%-ს (100მგ/100გან 1000 ppm), ვრცელდება შემდეგი მოთხოვნები:

ა) მექანიკურად განცალკევებული ხორცი მიიღება ტანხორციდან გამოცლილი იმ ძვლებისაგან, რომელთაგანაც ვერ ხერხდება ხორცის ბოლომდე გამოცლა, ხოლო ტანხორციდან ძვლების გამოცლა უნდა მოხდეს ცხოველის დაკვლიდან არაუმეტეს 7 დღეში, ფრინველის შემთხვევაში კი, მისი დაკვლიდან არაუმეტეს 3 დღეში;

ბ) მექანიკური გამოცალკევება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ ტანხორციდან ძვლების გამოცლის შემდეგ;

გ) თუ მექანიკურად განცალკევებული ხორცის გამოყენება არ ხდება მისი მიღებისთანავე, ის უნდა შეიხვეს ან შეიფუტოს და შემდეგ გაგრილდეს არაუმეტეს 2 °C - მდე ან გაიყინოს იმგვარად, რომ მექანიკურად განცალკევებული ხორცის ტემპერატურამ მიაღწიოს არაუმეტეს 18°C-ს. ტემპერატურასთან დაკავშირებული პირობები უნდა შენარჩუნდეს მექანიკურად განცალკევებული ხორცის შენახვისა და ტრანსპორტირების დროს;

დ) იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესოპერატორის მიერ ჩატარებული ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ მექანიკურად განცალკევებული ხორცი შეესაბამება გატარებული ხორცისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებს, მექანიკურად განცალკევებული ხორცი შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამზადებული ხორცის საწარმოებლად, რომელიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ მოხმარებისათვის მის თერმულ დამუშავებამდე და ასევე სხვა ხორცის პროდუქტების საწარმოებლად;

ე) მექანიკურად გამოცალკევებული ხორცი, რომელიც არ შეესაბამება ამ მუხლის მე 3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, შეიძლება გამოყენებულ იქნეს თერმულად დამუშავებული ხორცის პროდუქტის საწარმოებლად.“

მუხლი 23 -ის თანახმად¹⁰, ფრინველის შემთხვევაში არ უნდა იქნეს გამოყენებული – თავი (ბიბილოს, ყურების, თვალებისა და ქუთუთოების გარდა), მომწელებელი ტრაქტი, ჩიჩახვი, ნაწლავები და სასქესო ორგანოები.

3.1. ევროკავშირის სახელმძღვანელო მითითებები

ევროკავშირში, ის ბიზნესოპერატორები, რომლებიც აწარმოებენ შინაური ცხოველების/ფრინველების ცოცხლად ტრანსპორტირებას დასაკლავად, დაკვლა-გატყავებას, ხორცის დაჭრას და ძვლების მოშორებას, ხორცის შენახვასა და ტრანსპორტირებას; აგრეთვე დაკეპილი (გატარებული) ხორცის, მომზადებული (შეზავებული) ხორცის ან ძვლებიდან მექანიკურად გამოცალკევებული ხორცის, ან

¹⁰ცხოველის ორგანოები, რომლებიც არ უნდა იქნეს გამოყენებული ხორცის პროდუქტის საწარმოებლად

ხორც პროდუქტების წარმოებას ვალდებულნი არიან დააკმაყოფილონ ჰიგიენის სპეციალური მოთხოვნები.

ძვლებისგან მექანიკურად განცალკავებული ფრინველის ხორცის საწარმოებისა და მწარმოებლების მიმართ, EU № 853/2004-ის თანახმად, რომელიც ადგენს ჰიგიენის განსაკუთრებულ წესებს ცხოველური წარმოშობის სურსათისათვის, დადგენილია მთელი რიგი მოთხოვნები. კერძოდ:

- ამ სახის საწარმოების დაპროექტება უნდა უზრუნველყოფდეს იმ შესაძლებლობების გათვალისწინებას, რაც აუცილებელია საქმიანობის მუდმივობის ხელშესაწყობად, ასევე სხვადასხვა პარტიების შერევის გამოსარიცხად და თითოეული პარტიის პროდუქციის ერთმანეთისგან გამოყოფის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად;
- აუცილებელია ცალ-ცალკე სათავსების არსებობა შეფუთული და შეუფუთავი პროდუქციისთვის, თუ მისი დასაწყობება და ტრანსპორტირება არ არის დროში აცდენილი და შეფუთვის, ტრანსპორტირებისა და შენახვის ხერხები გამორიცხავენ დაბინძურების საშიშროებას.

ასევე აღნიშნულ რეგულაციაში მოცემულია იმ სათავსებისა და დანადგარების ჩამონათვალი, რომელიც მსგავსი ტიპის სურსათის მწარმოებელ საწარმოს უნდა გააჩნდეს. ეს ობიექტები უნდა იქნეს აღჭურვილი ხორცთან პირდაპირ კონტაქტში მყოფი პერსონალისთვის ისეთი სახისა და ისეთი დაპროექტების მქონე ხელსაბანებით, რომელიც გამორიცხავს დაბინძურების წყაროს გავრცელებას. მათ ასევე უნდა გააჩნდეთ სადეზინფექციო საშუალებების გამოსაყენებელი სპეციალური აღჭურვილობები ცხელი წყლის მიწოდების (არანაკლებ 82°C) უზრუნველყოფით, ან ალტერნატიული სისტემა ექვივალენტური შედეგის უზრუნველყოფის გარანტიით. ასევე აღნიშნულ რეგულაციაში არის დადგენილი სპეციალური მოთხოვნები ნედლეულისადმი.

გარდა ამ მოთხოვნებისა, დამატებით, ძვლებისგან მექანიკურად განცალკავებული ფრინველის ხორცის წარმოებისას აკრძალულია ისეთი ნაწილების გამოყენება, როგორცაა - ფეხები, კანი, თავი და კისერი. ცალკე გაწერილია მოთხოვნები ხორცის დამუშავების მიმართ, როგორცაა:

- ხორცის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 4°C -ს შინაური ფრინველისთვის და ხორცი, რომელიც უნდა დაექვემდებაროს პირველად დაქუცმაცებას (დაჭრას) სათავსებში უნდა შედიოდეს ნაწილ-ნაწილ, საჭიროების გათვალისწინებით.
- გაცივებული ფრინველისგან გატარებული ხორცის დამზადების შემთხვევაში ვადა არ უნდა აღემატებოდეს დაკვლიდან 3 დღეს (ხოლო სხვა ხორცის შემთხვევაში - დაკვლიდან 6 დღეს) და სხვა.

ასეთი სახის ხორცის პროდუქციის მიმართ დადგენილია შენახვისა და დამუშავების ეტაპზე სათანადო ტემპერატურისა და სხვა პირობების უზრუნველყოფის განსაკუთრებული მოთხოვნები. მაგ. ის, რომ ხორცის ძვლებისგან გამოცლა უნდა მოხდეს დასარბილებლად ტან-ხორცის დამუშავებისთანავე. ამ სახის პროდუქციას

წაეყენა ტრანსპორტირების, შეფუთვის, შენახვის განსაკუთრებული პირობები და ვადები. ასევე, ასეთი სახის ნედლეულისგან პროდუქციის დამზადება შესაძლებელია მხოლოდ იმ საწარმოებში განხორციელებული თერმული დამუშავების შემდგომ, რომლების აკმაყოფილებენ 853 რეგულაციით დადგენილ მოთხოვნებს.

კარგი ჰიგიენის პრაქტიკა იძლევა სრული სისუფთავის გარანტიას - მიკროორგანიზმები ვერ იზრდებიან საკვები ნივთიერებების გარეშე და გამორიცხულია განმეორებითი დაბინძურება, მიიღება სწრაფი შედეგები, იძლევა მიკრობიოლოგიური სტატუსის სურათს, თუმცა იგი არ ანაცვლებს საწარმოში მიკრობიოლოგიურ კონტროლის განხორციელების საჭიროებას.

ფრინველის ხორცში სალმონელას კონტროლის უზრუნველსაყოფად Codex Alimentarius-ის მიერ შემუშავებულია სახელმძღვანელო მითითებები და პრინციპები¹¹, თუმცა სტანდარტის ტექსტშივე არის მინიშნება იმის თაობაზე, რომ ეს დოკუმენტი უნდა იქნეს გათვალისწინებული სხვა დოკუმენტების პარალელურად:

- მიკრობიოლოგიური რისკის მენეჯმენტის პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები (CAC / GL 63-2007);
- ნიმუშის აღების ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები (CAC / GL 50-2004) ;
- მიკრობიოლოგიური რისკის შეფასების ჩატარების პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები (CAC / GL 30-1999).

მოთხოვნები მექანიკურად განცალკევებული ხორცის წარმოებასა/ გადამუშავებაზე:

1. სასაკლაოდან მიღებული ნედლი ხორცი, რომელიც ექვემდებარება ძვლის მოცილებას უნდა იქნეს არა უმეტეს 7 დღისა, ნედლი ხორცი, რომელიც ექვემდებარება ძვლის მოცილებას უნდა იქნეს არა უმეტეს 5 დღისა. თუმცა, ფრინველის კარკასი უნდა იქნეს არა უმეტეს 3 დღისა.
2. თუ მექანიკური განცალკევების პროცესი არ განხორციელდა დაუყონებლივ, ძვლის მოცილების შემდგომ რბილობიანი ძვლები უნდა იქნეს შენახული და ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს არა უმეტეს 2°C-სა, გაყინული ხორცის შემთხვევაში კი არა უმეტეს არაუმეტეს -18°C-სა.
3. უნდა მოხდეს გაყინული კარკასიდან მიღებული ძვლიანი ხორცის ხელმეორედ გაყინვა.
4. თუ მიღებიდან 1 საათის შემდეგ არ ხდება მექანიკურად განცალკევებული ხორცის გამოყენება მაშინ უნდა მოხდეს მისი დაუყონებლივი გაგრილება არაუმეტეს 2°C-სა.
5. თუ გაგრილების შემდეგ მექანიკურად განცალკევებული ხორცის დამუშავება არ ხდება 24 საათის განმავლობაში, ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს მისი გაყინვა წარმოების პროცესში 12 საათის განმავლობაში და 6 საათის განმავლობაში მიღწეული უნდა იქნეს შიდა ტემპერატურა არაუმეტეს -18°C-სა.
6. გაყინული მექანიკურად განცალკევებული ხორცი უნდა იქნეს დაფასოებული შენახვამდე ან ტრანსპორტირებამდე, დაუშვებელია მისი შენახვა 3 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, აგრეთვე ხორცის შენახვისა და ტრანსპორტირების დროს აუცილებელია შენარჩუნებული იქნეს ტემპერატურა არაუმეტეს -18°C.

4. სალმონელას სეროტიპების ენდემურობა

ადამიანის ორგანიზმიდან, ცხოველიდან და სურსათიდან გამოყოფილია სალმონელას 40-50 სეროტიპი და მათგან დაახლოებით 10 სეროტიპი ითვლება ენდემურად ამა თუ იმ ქვეყნისთვის, დროის გარკვეულ პერიოდში. ქვეყნების უმეტესობაში, ადამიანის ბიოსუბსტრატებიდან გამოყოფილ უპირატესად გავრცელებულ სეროტიპად ითვლება - S.typhimurium, თუმცა ამ სეროტიპიდან გამოყოფილი ფაგოტიპების რაოდენობა სხვადასხვა ქვეყნისთვის მნიშვნელოვნად განსხვავებულია.

ახალი სეროტიპები შესაძლოა ხვდებოდნენ ნებისმიერ ქვეყანაში, თუ მასში ხდება ამ სეროტიპებით დაბინძურებული სურსათის, ცხოველთა საკვების ან თვით ცხოველთა იმპორტი. მაგალითად, S.agona ამ გზით იქნა შეტანილი გერმანიაში, ნიდერლანდებში, ინგლისში, აშშ-ში¹², კერძოდ ამ ქვეყნებში განხორციელდა სალმონელათი დაბინძურებული თევზის საკვების შეტანა, საიდანაც ის შემდეგ მოხვდა ფრინველთა, საქონლის, ღორების ორგანიზმში და შესაბამისად ცხოველური წარმოშობის სურსათში. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ S.agona სულ უფრო ხშირად გამოიყოფა ადამიანთა ბიოსუბსტრატებიდან. S.agona იშვიათად იწვევს ცოცხალი ცხოველების დაავადებას და ცხოველები გვევლინებიან, როგორც რეზერვუარები, საიდანაც სალმონელა ვრცელდება გარემოში.

5. სალმონელასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები და სამეცნიერო თანამშრომლობა

ევროპის სურსათის უვნებლობის ორგანო (EFSA) და დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ევროპული ცენტრი (ECDC) იყენებს ცალკეული წევრი სახელმწიფოსგან შეგროვებულ მონაცემებს ზოონოზებთან დაკავშირებული ვითარების, ანტიმიკრობული რეზისტენტობისა და ევროპაში საკვებით გამოწვეული ეპიდემიების მონიტორინგისა და ანალიზისთვის. შედეგები წარმოდგენილია ევროკავშირის წლიურ შემაჯამებელ ანგარიშებში, რომლებიც ეხება ზოონოზებს, საკვებით გამოწვეულ ეპიდემიებსა და ანტიმიკრობულ რეზისტენტობას.

5.1. ევროკავშირის მიმოხილვები სალმონელას გავრცელების შესახებ

EFSA-მ გაანალიზა ევროკავშირის მასშტაბით საკვებსა და საკვების საწარმოებლად გამოსაყენებელ ცხოველებში სალმონელას გავრცელების შესახებ საბაზისო მიმოხილვების შედეგები, მათ შორის რისკ ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ სალმონელას გავრცელებას საკვებსა და ცხოველთა პოპულაციაში. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ევროკავშირში 90 000-ზე მეტი სალმონელოზის შემთხვევა აღინიშნება ყოველწლიურად. ევროპის სურსათის უვნებლობის ორგანოს (EFSA)-ს ექსპერტთა

¹²FAO-WHO Technical Report Series 598 / Geneva 1978.

გამოთვლით - სალმონელოზით გამოწვეულმა ეკონომიკურმა ზარალმა ევროპაში შეიძლება შეიადგინოს 3 მილიარდ ევროზე მეტი წელიწადში¹³.

5.2 მიმოხილვა აშშ-ში სალმონელას გავრცელების შესახებ

სალმონელასთან დაკავშირებული მოშხამვები საკმაოდ მაღალია აშშ-იც. აქ სალმონელათი დაბინძურებული სურსათი განაპირობებს ყოველწლიურად 40 000 მოწამვლის შემთხვევას. იმის გამო, რომ მსუბუქი დაზიანებები სტატისტიკურ მონაცემებში არ აისახება, ფაქტობრივი რაოდენობა ინფექციებისა შეიძლება იყოს ოცდაათჯერ ან უფრო მეტი¹⁴. FDA-ს მიერ შემუშავებულია¹⁵ სახელმძღვანელო სურსათის ბიზნესოპერატორებისთვის სურსათში *Salmonella* Species-ს ტესტირების საკითხებზე; ასევე კვერცხში, მისი წარმოების, შენახვისა და ტრანსპორტირების ეტაპებისთვის¹⁶ *Salmonella* Enteritidis -ის პრევენციის საკითხებზე, სადაც მოცემულია ფრინველთა ფერმების ბიოუსაფრთხოების უზრუნველყოფი ღონისძიებები. აშშ-ში ეროვნული სამიზნე პროგრამის „ჯანმრთელი ხალხი 2020“ მიზანია - შეამციროს სალმონელოზის ინციდენტობის მაჩვენებელი 11.4-დე (100,000 მოსახლეზე).

დაავადების თავიდან აცილების საუკეთესო გზაა ფერმებსა და სასაკლაოებზე მოხდეს დაავადებული ფრინველის განადგურება. დღეისათვის აშშ-ს ინსპექტორების მიერ წარმოებს წუთში 45 ფრინველის შემოწმება, გარეგნული ნიშნით არსებული დაზიანებების გამოვლენის მიზნით. წარმოება, რომელიც დაკავებულია ფრინველების მოშენებით, მიმართავს შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს თხოვნით შესამოწმებელი ფრინველის რიცხვი გაზრდილი იქნეს წუთში -200 ფრინველამდე. ეს ფერმები დამოუკიდებლად ანხორციელებენ ფრინველთა მდგომარეობის კონტროლს¹⁷.

5.3 ევროპის სურსათის უვნებლობის ორგანოს (EFSA) მხარდაჭერა ევროკავშირს სალმონელას წინააღმდეგ ბრძოლაში

¹³<http://www.efsa.europa.eu/en/topics/topic/salmonella>

¹⁴<http://www.arizonahealthmatters.org/modules.php?op=modload&name=NSIndicator&file=indicator&iid=17274920>

¹⁵<http://www.fda.gov/Food/GuidanceRegulation/GuidanceDocumentsRegulatoryInformation/ucm295271.htm> /Guidance for Industry: Testing for *Salmonella* Species in Human Foods and Direct-Human-Contact Animal Foods

¹⁶<http://www.fda.gov/Food/GuidanceRegulation/GuidanceDocumentsRegulatoryInformation/ucm313728.htm> /Guidance for Industry: Questions and Answers Regarding the Final Rule, Prevention of *Salmonella* Enteritidis in Shell Eggs During Production, Storage, and Transportation (2010) და Guidance for Industry: Questions and Answers Regarding the Final Rule, Prevention of *Salmonella* Enteritidis in Shell Eggs During Production, Storage, and Transportation (July 2015)

¹⁷<http://fishki.net/45217-15-mifov-ob-amerikanskoj-ede.html> © Fishki.net

ევროპის სურსათის უვნებლობის ორგანო უზრუნველყოფს დამოუკიდებელ სამეცნიერო მხარდაჭერასა და რჩევას ცხოველებსა და საკვებში სალმონელას გავრცელების შესახებ მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მეშვეობით, ადამიანის ჯანმრთელობისთვის ბაქტერიით გამოწვეული სურსათის უვნებლობის რისკების შეფასებითა და კონტროლისა და შემცირების გზების შესაძლებლობის რჩევით. EFSA-ს შედეგები გამოიყენება რისკის მენეჯერების მიერ ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებში გადაწყვეტილების მიღებისა და კვების ქსელში სალმონელას შემცირების ხელშეწყობისას.

ცხოველებსა და საკვებში სალმონელას ყოველწლიური მონიტორინგი მიღწეული შედეგების შესაფასებლად/პროგრესის გასაზომად


ევროპის სურსათის უვნებლობის ორგანოსა (EFSA) და დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ევროპული ცენტრის (ECDC) მიერ მომზადებულ ევროკავშირის შემაჯამებელ ანგარიშებში მონიტორინგს ექვემდებარება/კონტროლდება და ანალიზდება ადამიანებში, ცხოველებსა და საკვებში სალმონელას შემთხვევები, რათა ყოველ წელს მიწოდებულ იქნას განახლებული ინფორმაცია ევროპაში არსებული მდგომარეობის შესახებ. პრევენციის ვექტორის ძირითადი მიდგომაა დროული კომუნიკაცია - რისკებთან დაკავშირებით ინფორმაციის დროული და ეფექტური გაცვლა.

6 სამეცნიერო თანამშრომლობა

EFSA და მისი ზოონოზებზე მონაცემების შეგროვების ქსელი მუშაობს ღიად და გამჭვირვალედ აწვდის რა სამეცნიერო მონაცემებსა და უმაღლესი სტანდარტების ანალიზს დროულად, რათა ხელი შეუწყოს რისკის შემფასებლებსა და რისკის მენეჯერების პოლიტიკასა და გადაწყვეტილებებს. ქსელი შედგება წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან, სხვა მომხსენებელი ქვეყნებისგან, ისევე როგორც ევროპულიკომისია, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია.

EFSA-ს ბიოლოგიური საფრთხეების კოლეგია უზრუნველყოფს დამოუკიდებელ სამეცნიერო რჩევებს სურსათის უვნებლობასთან და სურსათის გამოწვეულ დაავადებებთან დაკავშირებულ ბიოლოგიურ საფრთხეებზე. კოლეგიამ გამოსცა ანგარიშები სალმონელასთან დაკავშირებული რისკის შეფასებების თაობაზე.

დიაგრამა: ევროკავშირის მოქმედებები ზოონოზებთან დაკავშირებით



6.2 რისკის შეფასებები და რეკომენდაციები

ევროპის სურსათის უვნებლობის ორგანო (EFSA) აფასებს ცხოველთა დაინფიცირებით გამოწვეულ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკებს და იძლევა რეკომენდაციებსა და რჩევებს სალმონელოზის კონტროლისა და შემცირების ზომების შესახებ. მაგალითად, სალმონელას კონტროლისათვის EFSA იძლევა რჩევას ფრინველებსა და ფრინველთა ხორცში სამიზნეების შემცირებისა და ვაქცინებისა და ანტიბიოტიკების გამოყენების შესახებ.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მიკრობიოლოგიურ ფაქტორებთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციების ან სხვადასხვა ქვეყნების მიერ განხორციელებული რისკის შეფასების მნიშვნელოვანი და სრულმასშტაბიანი კვლევების ჩამონათვალში¹⁸, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სალმონელოზის შემთხვევებთან დაკავშირებულ რისკის შეფასებას ცხოველური წარმოშობის სურსათში, რომელიც განხორციელდა დანიაში და აშშ-ში.

სქემა 2.1 სხვადასხვა მიზნით განხორციელებული მიკრობიოლოგიური რისკების შეფასების მაგალითები:

- დანიაში - ადამიანებში სალმონელოზის შემთხვევათა რისკის შეფასება ცხოველური წარმოშობის სურსათთან მიმართებაში;

¹⁸ MICROBIOLOGICAL RISK ASSESSMENT SERIES 17 Risk Characterization of Microbiological Hazards in Food GUIDELINES WHO and FAO OF THE UNITED NATIONS -2009
<https://mail.google.com/mail/u/0/#inbox/14e25d83a4e7acf8?projector=1>

• ა.შ.შ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო - ნაწლავის ჩხირის - O157 და **Salmonella Enteritidis** შეფასებები მოქმედების სტრატეგიის დასაგეგმად.

FAO და WHO მოუწოდებენ ქვეყნებს, რომ შეიმუშაონ კონტროლის ახალი გეგმები სალმონელასთან მიმართებაში, როგორც ბიზნესოპერატორების კონტროლის, ასევე მაღალი რისკის პროდუქციის ლაბორატორიული კვლევის კუთხით, ასევე ბიზნესოპერატორების მხრიდან დამატებითი ღონისძიებების გატარების კუთხით.

სალმონელებთან დაკავშირებული რისკების მართვის მთავარი ვექტორი მდგომარეობს ფრინველების ფერმის შიგნით სალმონელოზის შემთხვევების შემცირებაში, მაგრამ ფრინველების ფერმის გარეთ სალმონელის გადაცემის გზებისა და გადაცემის მექანიზმების კონტროლს დაქვემდებარება და სათანადო ღონისძიებების გატარება, ასევე უმნიშვნელოვანეს პირობად არის მიჩნეული. ეს ნათლად ხაზს უსვამს სხვადასხვა უწყებების, მთავრობების კოორდინირებული მოქმედებას (მათ შორის სურსათის მრეწველობა, ფერმა, სასაკლავო და სხვა) სურსათის მიმოქცევის ჯაჭვის „ფერმიდან-ჩანგლამდე“ ყველა ეტაპზე.

6.3 ერთობლივმა ძალისხმევამ მნიშვნელოვნად შეამცირა სალმონელოზის შემთხვევები ადამიანში

ადამიანში სალმონელოზის წინააღმდეგ ბრძოლა მნიშვნელოვანია, რათა შემცირებულ იქნას სალმონელა ცხოველებსა და მათგან მიღებულ პროდუქტებში, ამგვარად ასეთი საკვები უფრო უსაფრთხოა მომხმარებლისათვის. ევროკავშირმა, გაითვალისწინა რა სალმონელას პრიორიტეტულობა, შექმნა ყოვლისმომცველი საკონტროლო ღონისძიებები ზოონოზებისათვის. ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანაში დანერგილ იქნა სალმონელას გაფართოებული პროგრამები ფრინველებში და დადგენილ იქნა სამიზნეები ბაქტერიის შემცირებისათვის ფრინველებში (კვერცხისმდებელი ქათმები, ბროილერის ჯიშები, ინდაურები).

მომხმარებელთა დაცვისა და Salmonella-ს ზეგავლენის პრევენციის მიზნით, ევროკავშირის კოორდინირებული მიდგომის შედეგად, შეიქმნა კონტროლის ეროვნული პროგრამები. 2003 წელს, ევროკავშირში შეიქმნა ზოონოზზე გაფართოებული კონტროლის პროგრამა, იმის გათვალისწინებით, რომ Salmonella იყო პრიორიტეტული საფრთხე. ფრინველზე Salmonella-ს კონტროლის გაძლიერებული პროგრამები განხორციელდა ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში. ძირითად სამიზნეს წარმოადგენდა ფრინველი (ქათამი, ბროილერი, ინდაური) და ღორები. შეზღუდვები დაწესდა ასევე სავაჭრო ქსელში გამოტანილ პროდუქციაზე¹⁹.

¹⁹<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000054/KERESELIZE%20MAIKUNIA%20ORIGINAL.pdf>

ეროვნული კონტროლის პროგრამები, გათვალისწინებული იყო რეგულაცია (EC) No 2160/2003-ის შესაბამის მუხლებში.

რეგულაცია (EC) No 2160/2003-ის მიზანს წარმოადგენდა უზრუნველყოფილი ყოფილიყო Salmonella-ს და სხვა ზოონოზური აგენტების აღმოჩენისა და კონტროლის ზომები სურსათის წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციის და განსაკუთრებით პირველადი წარმოების ეტაპზე, რათა შემცირებულიყო მათი გავრცელება და ის რისკი, რომელიც იქმნებოდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში²⁰.

აღნიშნულ რეგულაციაში გაიწერა:

- ნაციონალურ დონეზე კონტროლის პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების საჭიროება არანაკლებ 3 წლიანი პერიოდით;
- სურსათის ბიზნესოპერატორთა კონტროლის პროგრამები;
- კონტროლის სპეციფიკური მეთოდები;
- დებულებები ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის შიდა ვაჭრობისთვის;
- იმპორტი მესამე ქვეყნებისთვის;
- ლაბორატორიები (რეფერენს-ლაბორატორიები, ლაბორატორიების აღიარება, მომსახურების ხარისხი და კვლევის მეთოდები);
- იმპლემენტაციის უზრუნველყოფი და გარდამავალი დებულებები.

ევროკავშირის კოორდინირებულმა მიდგომამ გამოიღო მნიშვნელოვანი შედეგები: ევროკავშირში ადამიანებში სალმონელას შემთხვევების რაოდენობა შემცირდა თითქმის 50%-მდე ხუთი წლის განმავლობაში (2004-2009). მას შემდეგ სალმონელას შემთხვევები კლებადობის ტენდენციით ხასიათდება.

EFSA მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოებრივი ჯანდაცვის საფრთხეებისაგან მომხმარებელთა დაცვაში, ადამიანთა ჯანმრთელობასა და სალმონელას სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ ასპექტებზე დამოუკიდებელი სამეცნიერო დახმარებისა და რჩევების მიწოდებისა და პროგრესის მონიტორინგის გზით.

ფრინველის მექანიკურად განცალკევებულ ხორციდან (MDM-MSM)
მიღებულ სურსათში სალმონელას რისკის შეფასების
სამეცნიერო დასკვნა

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ბიზნესოპერატორის მიერ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების საქართველოს

²⁰<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2003:325:0001:0015:EN:PDF>

კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლი ხორციელდება:


- ა) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ, სახელმწიფო კონტროლის დროს;
- ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ, საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისას.

შესაბამისად, სამეცნიერო დასკვნაზე მუშაობის ეტაპზე მოთხოვნილ და წარმოდგენილ იქნა დოკუმენტაცია და ინფორმაცია როგორც ზემოთ აღნიშნული დაწესებულებებიდან, ასევე გამოყენებულ და გაანალიზებულ იქნა დამოუკიდებელი ლაბორატორიული კვლევის შედეგები.


- **შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის** მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით (ცხრ.2), საქართველოში ქათმის გაყინული მექანიკურად განცალკევებული ხორცის (MDM-MSM) ძირითადი ექსპორტი განხორციელდა თურქეთიდან, გერმანიიდან, ნიდერლანდებიდან, ბელგიიდან და უკრაინიდან.
- გარდა ამისა, რისკის შეფასების სტრუქტურებმა მოიკვლიეს აღნიშნული პროდუქტის (ნედლეულის) იმპორტის მოცულობა 2015 წელს და დაადგინეს რომ მისი იმპორტი ხორციელდება როგორც ევროპული ასევე მესამეული ქვეყნებიდან. საანგარიშო პერიოდში (2015წ.) ქათმის გაყინული მექანიკურად განცალკევებული ხორცის იმპორტმა შედაგინა 8 000 ტონა, რომლის საბაჟო ღირებულება იყო 12.8 მლნ აშშ დოლარი (დანართი 5). აქედან, მოცულობების მიხედვით ძირითადი ექსპორტიორ ქვეყნებად, ფიქსირდებიან: გერმანია (2900ტონა), ნიდერლანდები (1600 ტონა) და თურქეთი (1009 ტონა).
- 2015 წელს სულ გამოკვლეულ იქნა ქათმის გაყინული მექანიკურად განცალკევებული ხორცის 110 ნიმუში (თურქეთი- 51 ნიმუში, ბელგია - 6 ნიმუში, საფრანგეთი - 3 ნიმუში, ფინეთი - 1 ნიმუში, ნიდერლანდების - 12 ნიმუში, გერმანია - 24 ნიმუში, შვედეთი - 2 ნიმუში, უკრაინა - 7 ნიმუში, პოლონეთი - 2 ნიმუში, დანია - 1 ნიმუში, ლიტვა - 1 ნიმუში) და პასუხი მხოლოდ ორ შემთხვევაში იყო დადებითი - თურქული და უკრაინული წარმოშობის ქათმის გაყინული მექანიკურად განცალკევებული ხორციდან აღებულ ნიმუშებში აღმოჩნდა „პათოგენები,მ.შ. სალმონელა“ (გამოცდის ოქმები #102; 23.02.2015 წ. და #4341; 29.10.2015წ.).

შესაბამისად, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დარდნობით სალმონელათი აღნიშნული პროდუქციის დაბინძურების ხარისხი საკმაოდ დაბალია და შეადგენს 1.8%-ს.

გრაფიკი. 1 ფრინველის მექანიკურად განცალკევებულ ხორცის (MDM-MSM) იმპორტი ქვეყნების მიხედვით და საბაჟო ლაბორატორიული კონტროლი




გრაფიკი .2 ფრინველის მექანიკურად განცალკევებულ ხორცის (MDM-MSM) გამოკვლეული ნიმუშები და მიღებული შედეგები ქვეყნების მიხედვით



➤ **სურსათის ეროვნული სააგენტოს** მონაცემებზე დაყრდნობით (წერილი N 09/1330 30/10/2015) პათოგენური მიკროორგანიზმი - სალმონელა აღმოჩნდა თურქეთისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან იმპორტირებულ ნიმუშებში. კერძოდ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიას გადაეცა სხვა და სხვა ქვეყნიდან იმპორტირებული ქათმის გაყინული მექანიკურად განცალკევებული ხორცის (MDM-MSM) 42 ნიმუში. ლაბორატორიული კვლევების შედეგად სალმონელა 16 ნიმუშში აღმოჩნდა (38%) (იხ. გრაფიკი.3). კერძოდ:

- თურქეთი - 12 დარღვევა (აღებულიყო 15 ნიმუში)
- ჰოლანდია - 2 დარღვევა (აღებულიყო 3 ნიმუში)
- გერმანია - 1 დარღვევა (აღებულიყო 4 ნიმუში)
- საფრანგეთი - 1 დარღვევა (აღებულიყო 4 ნიმუში).


გრაფიკი 3. სურსათის ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში განხორციელებული ქათმის გაყინული მექანიკურად განცალკევებული ხორცის (MDM-MSM)-ის მიკრობიოლოგიური კვლევისა და სალმონელას გამოვლენის შედეგები წარმომშობი ქვეყნების მიხედვით:



ამასთან, აღსანიშნავია, რომ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნული სააგენტოს მიერ გამოვლენილი იქნა ქათმის გაყინულ მექანიკურად განცალკევებული ხორცის (MDM-MSM) სალმონელით დაბინძურება, ბიზნესოპერატორებს დაევალიათ ამ სურსათის პარტიებად იდენტიფიცირება და ყველა პარტიიდან აღებული ნიმუშების ლაბორატორიული გამოკვლევა (ნიმუშების აღება და ლაბორატორიისათვის გადაცემა ხორციელდებოდა ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირების ზედამხედველობით), უნდა აღინიშნოს, რომ პარტიებად იდენტიფიცირებული ქათმის გაყინულ მექანიკურად განცალკევებული ხორცის (MDM-MSM) ლაბორატორიული კვლევების შედეგების თანახმად ნიმუშების უმრავლესობა დაბინძურებული იყო სალმონელით (აღებული 80 ნიმუშიდან დარღვევა გამოვლინდა 36 ნიმუშში). **შესაბამისად, ამ შემთხვევაში დაბინძურების მაჩვენებელმა შეადგინა -45%.**

შპს „გ. ნათამის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“-ს (შემდგომში ჰიგიენის ინსტიტუტი) საგამოცდო ლაბორატორიის (აკრედიტაციის მოწმობა GAGGAC-TL-0041) მიკრობიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის განყოფილების კვლევის შედეგებით - 37 ნიმუშიდან სალმონელა აღმოჩნდა 26 ნიმუშში. აღნიშნული მიუთითებს, რომ ქათმის პროდუქციის ბაქტერიოლოგიური დაბინძურების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია და შეადგენს გამოკვლეული ნიმუშების -70%-ს (იხ. გრაფიკი N4).


გრაფიკი 4. სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში გამოვლენილი ქათმის გაყინულ მექანიკურად განცალკევებული ხორცის (MDM-MSM) სალმონელით დაბინძურებული იდენტიფიცირებული პარტიების დამატებით კვლევის შედეგები



წყარო: სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

შესაბამისად, სალმონელაზე გამოკვლეული ნიმუშების დაბინძურების შედეგები გადანაწილდა ამ სახით:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ, საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისას კონტროლის შედეგებით - 1.8 %.
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ, სახელმწიფო კონტროლის დროს განხორციელებული კვლევებით - 38%;
- სეს-ის უფლებამოსილი პირების ზედამხედველობით ბიზნესოპერატორთა მხრიდან განხორციელებული კვლევების შედეგებით - 45%;
- შპს „გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“-ს საგამოცდო ლაბორატორიის კვლევის შედეგებით - 70%.



